


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(III კვარტალი, 2023)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ



„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით*.

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2023 წლის სექტემბერში.

*იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს.


2023 წლის მესამე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის **მთავარი მიგნებებია**:

- ❑ ქართველი ეკონომისტები **პოზიტიურად** აფასებენ საქართველოს **მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას**.
- ❑ თუმცა მათი მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია.
- ❑ 2023 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი საშუალოდ 6.2%-ს შეადგენს.
- ❑ ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდება.
- ❑ გამოკითხული ქართველი ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი 2023 წლისთვის, საშუალოდ, 4.2% იქნება.
- ❑ საქართველოს ეკონომიკისთვის **სამუშაო ძალის დეფიციტი** მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ შეაფასა გამოკითხული ეკონომისტების 93%-მა.
- ❑ გარდა ამისა, გამოკითხულ ეკონომისტთა თითქმის 78%-მა **ემიგრაციის მაღალი** მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ დაასახელა.
- ❑ თურქული ლირის რეკორდული გაუფასურების ფონზე ეკონომისტების 78% ფიქრობს, რომ ადგილობრივად **წარმოებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შემცირება თურქეთიდან უფრო იაფ იმპორტთან შედარებით**, სულ მცირე, მაღალ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.
- ❑ გამოკითხულთა 64% გეოეკონომიკურ **ფრაგმენტაციას** საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის მაღალ ან ძალიან მაღალი საფრთხედ მიიჩნევს.
- ❑ რესპონდენტთა უმეტესობამ **ტურიზმი (86%)** და **ფულადი გზავნილების შემოღობვა (72%)** გამოყო, როგორც საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორები.

შეგახსენებთ, გამოკითხვა ჩატარდა 2023 წლის სექტემბერში. შესაბამისად, ეს კვლევა არ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის ირგვლივ განვითარებულ **ბოლოდროინდელ მოვლენებს**, რასაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოეხდინა საქართველოს ეკონომიკური კლიმატის შეფასებებზე.



საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, III კვარტალი



- გამოკითხვის თანახმად, 2023 წლის მესამე კვარტალში ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი შეფასება გაუმჯობესდა როგორც 2023 წლის მეორე კვარტლის შეფასებასთან, ასევე, 2022 წლის მესამე კვარტლის შეფასებასთან შედარებით.
- გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია. მოლოდინი ოდნავ გაუარესდა იმ ნეგატიურ პროგნოზთან შედარებითაც კი, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2023 წლის მეორე კვარტალში და საგრძნობლად გაუარესდა 2022 წლის მესამე კვარტლის დადებით პროგნოზთან შედარებით.




გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- ❑ რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2023 წელს საშუალოდ 6.2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში (2023 წლის მეორე კვარტალი) გაკეთებული შეფასებების მიხედვით, გამოკითხული ეკონომისტები 2023 წლისთვის მშპ-ს 6.1%-იან ზრდას ვარაუდობდნენ.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ინფლაციის კლება. 2023 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 4.2%-ია.
- ❑ მომდევნო 6 თვის ბოლომდე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია, რომ ქართული ლარი გამყარდება აშშ დოლართან, ევროსთან, რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებაში.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა; და
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) რომელ საფრთხეებს მიიჩნევთ ამჟამად ყველაზე მწვავედ საქართველოს ეკონომიკისთვის




გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები.

- ❑ მუშახელის დეფიციტი საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან მაღალ საფრთხედ შეაფასა გამოკითხულთა 36%-მა, ხოლო მაღალ საფრთხედ - 57%-მა.
- ❑ გარდა ამისა, გამოკითხულ ეკონომისტთა თითქმის 78%-მა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლები მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ დაასახელა.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა ნახევარმა (50%) ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ომი უკრაინაში მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის.
- ❑ ანალოგიურად, რესპონდენტთა 50% მიიჩნევს, რომ ცხოვრების ხარჯების ზრდა მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის.
- ❑ ამავდროულად, ეკონომისტების 50% ფიქრობს, რომ ინფლაციური რისკები საერთოდ არ არის საფრთხე ან მხოლოდ დაბალ საფრთხეს წარმოადგენს.
- ❑ რესპონდენტთა 29%-მა გაცვლითი კურსის მერყეობა დაბალ საფრთხედ შეაფასა.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელი არხების მეშვეობით ექნება თურქული ლირის რეკორდულ გაუფასურებას გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე



ეკონომისტებს ასევე ვთხოვეთ შეეფასებინათ თურქული ლირის რეკორდული გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტებზე.

- გამოკითხულ ეკონომისტთა 78% მიაჩნია, რომ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება თურქეთიდან იაფ იმპორტთან შედარებით, სულ მცირე, დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.
- გარდა ამისა, გამოკითხულთა 58% მიიჩნევს, რომ თურქეთიდან გაზრდილი იმპორტის გავლენა იქნება მაღალი ან ძალიან მაღალი (შესაბამისად, 29% და 29%).
- საქართველოდან ექსპორტის შემცირება ზომიერ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, როგორც ამას გამოკითხულ ეკონომისტთა 57% ამტკიცებს.
- ამავდროულად, თურქეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება რესპონდენტთა 50%-ის მიერ დაბალი გავლენის მქონე არხად არის შეფასებული.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხეა) რომელ ფაქტორებს თვლით ხელისშემშლელად საქართველოს 2023 წლის ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, 4% იქნება

ჩინეთის ეკონომიკური გაჯანსაღება არასაკმარისია და ჩინეთის ზრდის პროგნოზი არაა დამაკმაყოფილებელია, რაც შესაბამისად გავლენას მოახდენს სავაჭრო პარტნიორებზე და რეგიონულ ეკონომიკაზე.



იზრდება ვალის პრობლემები - ქვეყნებისთვის სესხის აღების ხარჯები რჩება მაღალი, რაც ზღუდავს ადგილს პრიორიტეტული ხარჯებისთვის და ზრდის რისკს.



გეოეკონომიკურმა ფრაგმენტაციამ, რომელიც გამოწვეულია უკრაინაში ომის ფონზე გეოპოლიტიკური დაძაბულობით, შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო შეზღუდვები და შეაფერხოს გლობალური თანამშრომლობა.



ინფლაცია გრძელდება - მჭიდრო შრომითმა ბაზრებმა და გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიძლება, გაზარდოს ინფლაცია. უფრო მეტიც, უკრაინაში ომი შეიძლება გამწვავდეს, რაც კიდევ უფრო გაზარდის ფასებს საკვებზე, საწვავსა და სასუქებზე.



ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება თურქეთიდან იაფ იმპორტთან შედარებით




- არ მაქვს მოსაზრება
- საერთოდ არ არის საფრთხე
- დაბალი საფრთხე
- ზომიერი საფრთხე
- მაღალი საფრთხე
- ძალიან მაღალი საფრთხე

სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 3,5% იქნება, თუმცა ივლისის განახლებაში IMF ხაზს უსვამს გარკვეულ რისკებს. ეკონომისტებს ვთხოვთ, შეეფასებინათ, რომელ რისკებს თვლიდნენ საფრთხედ საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც, სავალუტო ფონდის პროგნოზით, 4% იქნება.

- გამოკითხულთა 64%-მა დაასახელა **გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია**, როგორც მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის ფაქტორი საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის.
- ამავედროულად, გამოკითხულ ეკონომისტთა 86% ფიქრობს, რომ **ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება და თურქეთიდან იაფი იმპორტი** ზომიერ ან მაღალ რისკს წარმოადგენს.
- 2023 წლის მესამე კვარტალში გამოკითხულ ეკონომისტთა 57% **გაზრდილ ვალს** საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის დაბალ რისკად აფასებს.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი) 5-მდე (ძალიან მნიშვნელოვანია) რას თვლით დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად



ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქტორების მნიშვნელობა.

- გამოკითხულთა 86%-მა **ტურიზმი** დაასახელა, როგორც საქართველოს ეკონომიკური ზრდის გარკვეულწილად მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი.
- **ფულადი გზავნილების შემოდინებას** ასევე გარკვეულწილად მნიშვნელოვან ან ძალიან მნიშვნელოვანად მიიჩნევს გამოკითხული ეკონომისტების 72%.
- რაც შეეხება **პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს**, რესპონდენტთა 43% თვლის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზომიერად მნიშვნელოვან კონტრიბუტორს წარმოადგენს.
- შედეგების თანახმად, **ფინანსურ სერვისებსა და საბანკო საქმესაც** ასევე გარკვეულწილად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში, როგორც ამას გამოკითხული ეკონომისტების 71% ამტკიცებს.
- ამავედროულად, ეკონომისტები ფიქრობენ, რომ **ადამიანური კაპიტალი** (50%) და **ტექნოლოგიები და ინოვაციები** (43%) მხოლოდ ზომიერ მნიშვნელობას ატარებენ, ხოლო 21% და 14% ამ კონტრიბუტორებს საერთოდ არ ანიჭებს მნიშვნელობას.



ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022	2023 Q1*	2023 Q2*
ნომინალური მშპ (მილიონი აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 629.4	24610.2*	6247.1*	7535.8*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 023.2	6671.9*	1,672.0*	2 016.9*
მშპ რეალური (%)	5.0%	-6.8%	10.5%	10.1%*	7.7%*	7.5%*
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	7.6%	1.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	2 000.0*	566.4*	505.7*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	18.0%	16.7%
საგარეო ვალი (მლნ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 435	8 473	8 510
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	-	-

* წინასწარი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

გემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

გიორგი ხიშტოვანი

კვლევითი დირექტორი

g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე

მკვლევარი

s.basilidze@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი

უმცროსი მკვლევარი

a.chkhenkeli@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი

კვლევითი ასისტენტი

g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org